

სასწავლო-კვლევითი ჰონორარი ახალგაზრდა მკვლევარებისთვის

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იწყებენ ახალ პროექტს, რომელიც საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებსა და/ან მაგისტრისა და დოქტორანტის აკადემიური ხარისხის მქონე 35 წლამდე ახალგაზრდა მკვლევარებს სამხედრო საქმესთან დაკავშირებული მასალების შესწავლის პროცესში შეუწყობს ხელს.

პროექტის მიზანია წახალისოს ახალგაზრდა მკვლევარები, რომელთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს სამხედრო საქმესთან დაკავშირებული კვლევითი მიმართულებები (სამხედრო ისტორია: ტერმინოლოგია, აღჭურვილობა, საბრძოლო წყობა, მასალები და სხვ.).

საკითხის აქტუალობა: საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ისტორია ბრძოლების ისტორიაა. მიუხედავად ამისა, სამხედრო ისტორიის კვლევა შესაბამისი ინტენსივობით და მასშტაბებით არ ხდება. ამ სფეროში მუშაობენ ცალკეული მკვლევარები და არსებობს საინტერესო სტატიები, თუმცა, სამხედრო საქმის შესწავლა არ წარმოადგენს საგანგებო კვლევით მიმართულებას, ნაკლებად იქმნება შემაჯამებელი ხასიათის მონოგრაფიები და კატალოგები.

საკვლევი მასალა კი საკმაოდ მრავალფეროვანია: ნარატიული წყაროები (ქართული და უცხოური), ხელნაწერი მემკვიდრეობის ნიმუშები, საარქივო დოკუმენტები, არქეოლოგიური მასალა, ფრესკული მხატვრობა, ეპიგრაფიკა, ჭედურობა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სამხედრო თემატიკასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მასალა ინახება: ხელნაწერი წიგნები, საისტორიო დოკუმენტები, სამხედრო ტრაქტატები, მინიატურები, საარქივო მასალა, ფოტოდოკუმენტები. ცენტრი ახალგაზრდა მკვლევრებს სასწავლო-კვლევითი პროექტის ფარგლებში სათანადო საფასურის გარეშე სთავაზობს: ცენტრში დაცულ მასალაზე მუშაობას, კვლევისათვის დიგიტალური ასლების ხელმისაწვდომობას, საჭიროების შემთხვევაში, მაღალი ხარისხის ასლის გადაცემას პუბლიკაციისათვის. გარდა ამისა, ცენტრი ახალგაზრდა მკვლევარს დახმარებას გაუწევს მუშაობის პერიოდში კვლევის შუალედური შედეგების პუბლიკაციაში სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებში, შესთავაზებს ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობას.

პროექტის ვადები: 2014 წლის 9 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის 18:00 საათამდე მსურველებმა აპლიკაციები უნდა შეავსონ და წარუდგინონ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ელექტრონულად მისამართზე: exb.edu@manuscript.ac.ge.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ შეირჩევა 2 მკვლევარი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე არაუმეტეს 1 წლის ვადით დასაქმდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და მიიღებს სასწავლო-კვლევით ჰონორარს.

ჰონორარის ოდენობა 1 წლის განმავლობაში თითოეული მკვლევარისთვის: 6000 ლარი.

სააპლიკაციო დოკუმენტაცია:

- აპლიკანტის CV
- დიპლომის ასლი
- 2 ფოტო 3x4
- მაგისტრანტის ან დოქტორანტის შემთხვევაში ცნობა უნივერსიტეტიდან (დეკანატის მიერ დამოწმებული)
- პირადობის მოწმობის ასლი
- სამოტივაციო წერილი
- 2 რეკომენდაცია (1 სასურველია აპლიკანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის)
- სამეცნიერო აქტივობის (სტატიები, კონფერენციები) ჩამონათვალი
- 1 ნაშრომი, რომელიც აპლიკანტის აზრით, უკეთ წარმოაჩენს მის კვლევით პოტენციალს.

მოთხოვნები აპლიკანტის მიმართ:

მაგისტრანტების მიერ შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნაა სადოქტორო ნაშრომი ეხებოდეს სამხედრო ისტორიის კვლევას.

საპროექტო წინადადება

პროექტის დასახელება

აპლიკანტის მონაცემები:

სახელი/გვარი _____

დაბადების თარიღი: _____

კვლევის აღწერა

1. კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები

1.1 პროექტის აქტუალობისა და უნიკალობის დასაბუთება

(პრობლემის მოკლე მიმოხილვა; პროექტის მიზნები, ამოცანები, პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; მეცნიერული სიახლის აღწერა; სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1200-2000);

1.2 კვლევის ობიექტი და ამოცანები

(აღწერეთ: კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; პროექტის განხორციელების ეტაპები და შესასრულებელი ამოცანები. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1000-1500);

1.3 ამოცანების შესრულების სავარაუდო გეგმა-გრაფიკი

ამოცანები/თვეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ამოცანა #1												
ამოცანა #2												
ამოცანა #n												

2. კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები

2.1 კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის მივლინებები, სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაცია და სხვ; სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1000-1200);

1.3 კვლევის მოსალოდნელი შედეგები

(აღწერეთ: პროექტის პერიოდის დასრულების შემდგომ რა განვითარება ელის პროექტით მიღებულ შედეგებს; სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 800-1000).

1.4 პროექტის საანგარიშო პერიოდებში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შუალედური შედეგები/თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით

I პერიოდი (1-6 თვე)		II პერიოდი (მე-7-12 თვე)	
N	შედეგები/ თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	N	შედეგები/ თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი
1		1	
2		2	
3		3	
N			

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ გრაფა

3. მონიტორინგი და შედეგების წარდგინება

- 3.1 პროექტის მიმდინარეობის შესახებ შუალედური ანგარიშების ვადები არის: მე-2, მე-5, მე-8 და მე-12 თვეების შემდეგ.
- 3.2 პროექტის ყოველი საანგარიშო პერიოდის შემდეგ ახალგაზრდა მკვლევარი ვალდებულია წარადგინოს საპროექტო წინადადების მიხედვით გაწერილი შუალედური შედეგები თვლადი ინდიკატორების მიხედვით (დოკუმენტური და ელექტრონული სახით); საჭიროების შემთხვევაში, გააკეთოს მოხსენება.
- 3.3 შუალედური შედეგების დათქმულ ვადებში წარდგენის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მკვლევარი მიიღებს წერილობით გაფრთხილებას და მოთხოვნას, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს სათანადო ანგარიში.
- 3.4 პუნქტში მითითებულ ვადებში ანგარიშის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მკვლევარს შეუწყდება ჰონორარის გაცემის პირობებით გათვალისწინებული დაფინანსება, ხოლო გავლილ საანგარიშო პერიოდებში მიღებული თანხა ვალდებული იქნება დააბრუნოს, ასეთ ვითარებაში, საგანგებოდ შედგენილი გრაფიკის მიხედვით.
- 3.5 პროექტზე მუშაობის პერიოდის გავლის შემდეგ მკვლევარი ვალდებულია კვლევის შედეგები წარადგინოს პროექტით გათვალისწინებული თვლადი ინდიკატორების მიხედვით (დოკუმენტური და ელექტრონული სახით).

3.6 შესაბამისი კომისიის მიერ კვლევის შედეგების დადებითად შეფასების შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პასუხისმგებლობას იღებს მათ გამოქვეყნებაზე.